

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2018 წლის 9 აგვისტოს სხდომის  
ოქმი N19

9 აგვისტო, 2018 წელი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 19

ქ. ხონი

9 აგვისტო 2018 წელი

2018 წლის 9 აგვისტოს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა კუბლაშვილი სხდომას საკრებულოს 28 წევრიდან ესწრებოდა: არსენ ბენდელიანი, ნანა ბახტაძე, ალიკო ვეკუა, ზაზა რუხაძე, ზაზა ვაშაკიძე, ოლეგი ვაჭარაძე, ტარიელ ბარაბაძე, თამაზი ცაგარეიშვილი, ია სულუხია, შორენა კაკაბაძე, ლაშა გედენიძე, არჩილ საღარაძე, ირაკლი ბახტაძე, ლია ღაჭავაძე, მათე ჩანქსელიანი, ჯუნგლი გოდერიძე, ნაზიბროლა გეგია.

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

სხდომა დასრულდა: 13 საათზე.

დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ჟორჟოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ჟორჟოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

3. წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ.

მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე \_\_ 18

წინააღმდეგი \_\_ არცერთი

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი : „ ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ირაკლი ჟორჟოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: „ ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი : „ ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ირაკლი ჟორჟოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: „ ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.



დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი : „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“.

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის შემდეგ დეპუტატმა ზაზა ჯალაღანიამ მიმართა დეპუტატებს: მოვითხოვ მომზადდეს წერილი მერის სახელზე, რათა წარმომიდგინონ ყველა ა(ა)იპ - ებში 2015 წლის 1-ლი იანვრიდან თანამშრომელთა მიღების და განთავისუფლების შესახებ ბრძანებები, ხელშეკრულებები, ყოველთვიური სახელფასო უწყისები სათანადოდ დამოწმებული ქსეროასლებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

კობა კუბლაშვილი

სხდომის მდივანი:

შორენა ჩანქელიანი

